განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## “კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 07.07.2020
დასკვნის წარდგენის თარიღი:
12.08.2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა |
| განათლებისსაფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | მედიცინის დოქტორი<br>0912 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტებისრაოდენობა | 60 (სასწავლო კომპონენტი) |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტირებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარინე თოიძე, შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ გოდერიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარიამ აბულაძე, შპს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ “კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ აკრედიტაცია მიიღო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე 96 გადაწყვეტილებით. დღემდე დაცულია 45 სადოქტორო დისერტაცია. 2016 წლის ჩათვლით, დოქტორანტთა მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებიდან 136 გამოქვეყნებულია Scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალებში, 134 - PubMed -ში ინდექსირებულ ჟურნალებში, 62 კი - WoS-ში ინდექსირებულ ჟურნალებში. 2018 წლამდე Scopus-ის მიერ აღნიშნულია ზემოაღნიშნულ ნაშრომთა 164 ციტირება, ხოლო WoS -ის მიერ 107 ციტირება.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტს ეთმობა არანაკლებ 40 კრედიტისა და არაუმეტეს 60 კრედიტისა. დისერტაციის დაცვის უფლების მოსაპოვებლად საჭიროა მკაცრი კრიტერიუმების დაცვა, კერძოდ:

1. დაცვის აუცილებელი პირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად (Peer-reviewed) ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით.
2. ამ სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული ისეთ საერთაშორისო ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში - დოქტორანტის პირველი ავტორობით, ამასთანავე: ა. Scopus -ში ინდექსირებულ ჟურნალს Scimago Lab –ის (scimagosjr) მიერ მინიჭებული უნდა ჰქონდეს Q1 ან Q2 კატეგორია (Quartile). ბ. Web of Science -ის ბაზის ჟურნალში გამოქვეყნებული (ან გამოსაქვეყნებლად მიღებული) სტატიის შემთხვევაში, ჟურნალს უნდა ქონდეს მინიჭებული Clarivate Analitics-ის იმპაქტ-ფაქტორი.

ზემოთ აღწერილი მახასიათებლების გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფს მიზნის რეალიზაციას და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთანავე, ცალკე აღებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, რაც გამომდინარეობს ამ კურსების შინაარსიდან და კრედიტების რაოდენობიდან, მონაწილეობს მთლიანად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.
სილაბუსები შედგენილია თსუ-ის მიერ რეკომენდებული სტანდარტის მიხედვით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 7 ივლისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის ბრძანება MES 2 20 00408414-ის საფუძველზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შემდეგი შემადგენლობა - მარინე თოიძე (ჯგუფის თავმჯდომარე), თამარ გოდერიძე (ჯგუფის წევრი), მარიამ აბულაძე (ჯგუფის წევრი).
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფებთან (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამების ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. შემოწმდა ადგილზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები. ასევე, განხორციელდა ვიზიტი პროგრამის განხორციელების ძირითად ლოკაციაზე (ბელიაშვილის ქ. 78ა. თსუ, მედიცინის ფაკულტეტის კორპუსი).

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოხდა დასკვნის პროექტში ასასახი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მიგნებების და სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის შეჯერება. დასკვნის პროექტის ძირითადი მიგნებები და ძირითადი ასპექტები ექსპერტებმა გააცნეს სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას, პერსონალსა და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს.
სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციამ სრულად შეუწყო ხელი ექსპერტთა მუშაობას და შეუქმნა ყველა პირობა ვიზიტით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად. შედეგად ვიზიტმა მთლიანობაში ჩაიარა საქმიან და კონსტრუქციულ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  I სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

- *ექსპერთტა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციის, ინტერვიუების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სტანდარტი სრულად აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს*
- *<u>სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.</u>*

- II სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
- *ექსპერთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სილაბუსები, შესაბამისი ბრძანებები და შიდა დოკუმენტაცია აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებაში. ასევე, შეკითხვები იქნა დასმული კურსის ხელმძღვანელობასთან, ხარისხის კომიტეტთან, თვითშეფასების გუნდთან. შემდგომ კითხვები დაესვა პროფესურას და დოქტორანტურის კურსდამთავრებულებს და სტუდენტებსაც და არსებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სილაბუსები არის გამართული, სწავლების მეთოდოლოგია შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, შეფასების კრიტერიუმები არის მკაფიო და გასაგები როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის, თითეული კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. აღნიშნული გარემოებების ერთობლიობა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ დავადასტუროთ ზოგადად არსებული სტანდარტის შესაბმისობა მისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან.*

*<u>სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.</u>*

- III სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

*თვითშეფასების ანგარიში წარმოდგენლი დოკუმენტების შესწავლის და შესაბამისი ინტერვიუების შეჯამების შედეგად, შესაძლოა ითქვას, რომ სტანდარტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ ხელმძღანელებთან და კვლევის პროცესში გამოიყენონ უნივერსიტეტის ყველა რესურსი რაც მათ დაჭირდებათ კვლევითი პროცესისა თუ სტატიის მომზადების მიმდინარეობისას.*

- *<u>სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.</u>*

- IV სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

- *ვიზიტის მიმდინარეობისას დათვალიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა. სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან ყველა იმ საშუალებით, რაც მათ ჭირდებათ სამეცნიერო პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის.*
- *<u>სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.</u>*

- V სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

უნივერსიტეტს აქვს გამართული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და გამოცდილი გუნდი, რომელიც აქტიურად არის ჩართული ამ კონკრეტული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაშიც, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით, ინტერვიუებით და უკუკავშირის მექანიზმებით. მუნდმივად ხდება პროცესების მონიტორინგი და შედეგების ასახვა, ასევე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გარე ხარისხის შეფასებას ალტერნატიული ექსპერტების მიერ. ყოველივე ზემოთაღნიშნული უზრუნველყოფს არსებულ სტანდარტთან შესაბამისობას.

- *სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.*

პროგრამის შემოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციები არ გაცემულა.

- რეკომენდაციები

პროგრამის შემოწმების შედეგად ექსპერთტა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი რჩევები:

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება ბიოსამედიცინო მეცნიერებების სფეროში და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის საკითხების უფრო აქტიური მასშტაბებით დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე მკვლევარის ინტერესების სფეროში უფრო მეტად აქტუალური საკვლევი საკითხების წარმოჩენას და პუბლიკაციების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პრობლემების (დროში გადავადება და პუბლიკაციების წუნდება - რაც ხშირად საკვლევი არეალის სიმწირეს უკავშირდება) შემცირებას.
  - უნივერსიტეტის აკადემიურ პროცესში პროგრამის კურსდამთავრებულთა უფრო მეტი რაოდენობით იტეგრირება.
  - სასურველია ზემოაღნიშნულ შედეგებთან ერთად პროგრამამ მიზნად დაისახოს შედეგი, რომელიც იქნება მსოფლიო მასშტაბით, არსებული ლიდერი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის ამსახველი. გასაგრძელებელია მუშაობა და მისაღწევია კონსენსუსი დოქტორანტურაში სწავლის ვადებთან დაკავშირებით.
  - შიდა დაფინანსების წყაროების მოძიება,
  - აკადემიური ინგლისურის სწავლების გაძლიერება.
  - ერთ ხელმძღვანელთან დოქტორანტების დასაშვები რაოდენობის შემცირება / დოქტორანტების ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა.
  - ხარისხის მართვის სამსახურის მუშაობაში სასურველი იქნება გაძლიერდეს ის მექანიზმები და რესურსები, რომელიც უცხოელი კოლეგების ჩართვის შესაძლებლობას შექმნის განმავითარებელი კოლეგიალური, ან peer review-რების პროცესში.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა აკრედიტებული იქნა 2011 წელს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა იმ დროისთვის შექმნილი დოკუმენტაცია. თავდაპირველად პროგრამა მოიცავდა მედიცინის მიმართულებებს და ქვემიმართულებებს სპეციფიკური კვლევითი კომპონენტებით (სამედიცინო რადიოლოგია და ენდოსკოპია, ნევროლოგია, ფსიქიატრია, ქირურგია, გადაუდებელი მედიცინა, ინფექციური დაავადებები, მეანობა-გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია, კარდიოლოგია, ენდოკრინოლოგია, დერმატო-ვენეროლოგია, კლინიკური პათოლოგია, მოლეკულური მედიცინა, ტრანსპლანტოლოგია, მორფოლოგია, პალიატიური და ტკივილის მედიცინა, სტომატოლოგია), შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხული ყოველი დოქტორანტისათვის პროგრამის მიზანი იქნებოდა განსხვავებული. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, მაშინვე წარმოადგინა ცალკეული მიმართულებების ამსახველი პროგრამები, სადაც დეტალურად იყო აღწერილი არა მხოლოდ პროგრამის მიზანი და ამოცანები, არამედ მათი გადაჭრის გზებიც.

ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველი იყო, სამეცნიერო კვლევა ცალკე კომპონენტად ყოფილიყო წარმოდგენილი; აღნიშნული კომპონენტი ამჟამად გათვალისწინებულია და აისახება შესაბამის დოკუმენტებში. შესაბამისად 07.07.2020-ში განხორციელებული ვიზიტის შედეგად ვთვლით, რომ მაშინდელი მოთხოვნები გათვალისწინებული და სრულად დაკმაყოფილებულია.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>▪ ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია;<br>▪ ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;<br>▪ ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში;<br>▪ შეესაბამება უსდ-ის, ფაკულტეტის/სკოლის/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის და/ან მისი სტრუქტურული ერთეულის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას;<br>▪ ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს;<br><br>პროგრამის მიზანს წარმოადგენს მედიცინის სფეროში სამეცნიერო და ეთიკური სტანდარტების შესაბამისი კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების მქონე მედიკოსის მომზადება, რომელსაც შეეძლება საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე მისი ინტერესების სფეროში ახალი საკვლევი საკითხების წარმოჩენა, შესაბამისი კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება, შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია და პრეზენტაცია (ვერბალური, პუბლიკაციური).<br>ამასთან პროგრამის მიზანს წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულმა გამოიმუშაოს უმაღლესი სამედიცინო განათლების დონეზე სასწავლო საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები.<br>აღნიშნული პროგრამის მიზანი ასევე ითვალისწინებს ზემოხსენებული ცოდნის, უნარების შეძენის გზით მკვლევარებმა შეძლონ, ხელი შეუწყონ ახალი ცოდნის შექმნასა და გავრცელებას.<br>თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა სრულდება მაღალი ხარისხით. თსუ-ს მისიის მიერ გათვალისწინებულია ახალი ცოდნის შექმნა და გავრცელება, მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლება და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებაში მონაწილეობა, კურსდამთავრებულების აღჭურვა საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის აუცილებელი ცოდნით და უნარებით.<br>თსუ სადოქტორო პროგრამის „ტრანსლაციური მედიცინა“ მიზანი ზემოხსენებულ მისიას შეესაბამება იმ თვალსაზრისით, რომ ერთი მხრივ, ის ითვალისწინებს პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ თანამედროვე სტანდარტების კვლევის წარმოების გზით ახალი ცოდნის შექმნას, ხოლო, მეორე მხრივ, კომუნიკაციის შესაბამისი უნარების გამოყენებით და სასწავლო საქმიანობის გზით ამ ახალი ცოდნის გავრცელებას. |

| |
|---|
| ჯანდაცვის და ბიომედიცინის სფეროში კრიტიკული ხედვის, ანალიზისა და სიახლეებზე ორიენტირებული მკვლევარები და ჯანდაცვის პროფესიონალები ხელს უწყობენ ეფექტური ინტერვენციების განვითარებას, სწავლების პროცესში ჩართულია ერთი, საზღვარგარეთ მცხოვრები საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული პროფესორი, რომელიც ახორციელებს რამოდენიმე სალექციო კურსს დისტანციური, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით.<br>თანამედროვე მკვლევარები შეძლებენ საერთაშორისო საზოგადოებაში ინტეგრაციას, რადგანაც დოქტორანტურის კურსი უწყობს მათ ხელს წარმოაჩინონ ახალი საკვლევი საკითხები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, დაგეგმონ სესაბამისი კვლევა დამოუკიდებლად, მოახდინონ კვლევის შედეგების ანალიზი და ამ შედეგების ადექვატური ინტერპრეტაცია.<br>პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის, დამსაქმებლების მოთხოვნები.<br>აღნიშნული მოთხოვნების წარმოსაჩენად ჩატარებულია შრომის ბაზრის ანალიზი (სამაგიდო კვლევა) და დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევა (გამოკითხვა), რომელმაც წარმოაჩინა სწავლების უნარ-ჩვევებზე (უმაღლესი განათლების დონეზე სწავლება) და სხვადასხვა ტრანსფერულ უნარებზე (კომუნიკაცია, დამოუკიდებელი განვითარება, გუნდური მუშაობა, ანალიტიკური აზროვნება და სხვა) ფოკუსირების აუცილებლობა. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა ზემოხსენებული მოთხოვნები სათანადოდ არის ასახული როგორც პროგრამის მიზნებში, ისე სწავლის შედეგებში, პროგრამის შინაარსსა და შეფასების მეთოდებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>2. სასწავლო კომპონენტების შესაბამისი სილაბუსები;<br>3. დასაქმების ბაზრის კვლევა;<br>4. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა სტატისტიკური მონაცემები;<br>5. კურსდამთავრებულთა პუბლიკაციები ადგილობრივ და საერთაშორისო მიმოქცევის გამოცემებში. |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება ბიოსამედიცინო მეცნიერებების სფეროში და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის საკითხების უფრო აქტიური მასშტაბებით დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე მკვლევარის ინტერესების სფეროში უფრო მეტად აქტუალური საკვლევი საკითხების წარმოჩენას და პუბლიკაციების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პრობლემების (დროში გადავადება და პუბლიკაციების წუნდება - რაც ხშირად საკვლევიარეალისსიმწირეს უკავშირდება) შემცირებას.<br>○ უნივერსიტეტის აკადემიურ პროცესში პროგრამის კურსდამთავრებულთა უფრო მეტი რაოდენობით იტეგრირება. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): |

| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში) |
|---|
| |

| შეფასება |
|---|
| ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

**კურსდამთავრებულს შეუძლია/აქვს:**

1. მედიცინის შესაბამისი დარგის და ამ დარგში არსებული უახლესი მიღწევების საფუძვლიანი ცოდნა და როგორც საკუთარი, ასევე სხვისი საქმიანობის შეფასებისა და კრიტიკის უნარი;
2. თანამედროვე მოთხოვნებით შეუძლია კვლევის დაგეგმვა და განხორციელება;
3. აქვს მოზრდილთა სწავლების თეორიებისა და მეთოდების ცოდნა და გააზრება; სწავლის საჭიროების, სწავლის შედეგების განსაზღვრის, სწავლებისა და სწავლის შედეგების შეფასების, სასწავლო პროგრამების შემუშავების, სწავლებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.
4. ინტერპერსონალური და კომუნიკაციის სხვა ფორმების გამოყენების კარგი უნარი კოლეგებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან;
5. მისი საქმიანობის სფეროში აღიარებული სტანდარტების ცოდნა და ამ სტანდარტების გამოყენების უნარი სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობაში;
6. კარიერული განვითარების ალტერნატიული გზების მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარი;
7. აკადემიურ ან/და პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების ან/და განვითარებაზე ორიენტირებულიღონისძიებების

განხორციელება ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრონციპების დაცვით.

8. ინტერდისციპლინური კვლევის ჩატარების პოტენციალი,
9. განხორციელება ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრონციპების დაცვით.

ზემოთჩამოთვლილი შედეგები: დარგის საფუძვლიანი ცოდნა, სისტემური ხედვა და ანალიზი, კვლევის დაგეგმვა/განხორციელება; სწავლება; კომუნიკაცია; პროფესიული განვითარება; ლიდერობა, მართვა და დამოუკიდებელი საქმიანობა, ავტონომიურობა; - ემსახურება პროგრამის მიზნების მიღწევას, რაც შემდეგი კრიტერიუმებით შეიძლება შეფასდეს;

1. შედეგები ემსახურება პროგრამის მიზნების მიღწევას;
2. ლაკონურია;
3. რეალისტური და მიღწევადია;
4. მისადაგებულია დამსაქმებლის/შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
5. შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს

6. მუდმივად ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება,

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური“ მედიცინა; დანართი 1;
2. სასწავლო კომპონენტების შესაბამისი სილაბუსები; დანართი 1
3. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება; დანართი 15;
4. დისერტაციების შეფასების დოკუმენტი (დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი); დანართი 15;
5. ORPHEUS - ის კონფერენციაზე წარდგენილი თეზისი; დანართი 16.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია ზემოაღნიშნულ შედეგებთან ერთად პროგრამამ მიზნად დაისახოს შედეგი, რომელიც იქნება მსოფლიო მასშტაბით, არსებული ლიდერი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის ამსახველი. გასაგრძელებელია მუშაობა და მისაღწევია კონსენსუსი დოქტორანტურაში სწავლის ვადებთან დაკავშირებით.

| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): |
|---|
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** ○ |
| **შეფასება** ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ აღნიშნული სტანდარტის შესაბამისად თვითშეფასების ანგარიშში აისახა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, არსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, დოქტორანტთა შეფასების სისტემა. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაზე დაშვებას. ეს, თავის მხრივ, ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. დაშვების და ჩარიცხვის წინაპირობები/პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა უცხო ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე. უცხო ენის გამოცდაზე მიღებული ქულა არის საჯარო - ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ასევე ვებ-გვერდზეა განთავსებული პროგრამაზე ჩასარიცხ კანდიდატებთან (რომელთაც წარმატებით გადალახეს უცხო ენის „ბარიერი“) გასაუბრების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმებიც (ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დანართი 1). ამდენად, პროგრამაზე დაშვების პირობები და პროცედურები შესაძლოა შეფასდეს, როგორც შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“;<br>○ უნივერსიტეტის ვებგვერდზე დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების ბრძანებები;<br>○ თსუ მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამა შედგენილია თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პასუხობს სადოქტორო პროგრამების მიმართ წაყენებულ საერთაშორისო მოთხოვნებს. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურის შედგენისას გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამების განხორციელების და დისერტაციის დაცვის საკითხებთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები. ასევე, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მედიცინის დოქტორის მომზადების სპეციფიკის ამსახველი მასალები და ORPHEUS-ის რეკომენდაციები. სადოქტორო პროგამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან; სასწავლო კომპონენტი - არანაკლებ 40 ECTS -სა; კვლევითი კომპონენტი - არანაკლებ 120 ECTS-სა. სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის მეთოდურ დახელოვნებას, ხელს უწყობს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და უვითარებს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო უნარებს. სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: ა) მინიმუმ ერთი დარგობრივი სემინარი (15 კრედიტი, სავალდებულო); ბ) პროფესორის ასისტენტობა (5 კრედიტი, სავალდებულო); გ) კვლევის მეთოდოლოგია (არანაკლებ 5 კრედიტი, სავალდებულო); დ) აკადემიური წერა ბიომედიცინაში (5 კრედიტი სავალდებულო); ე) პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - 5 კრედიტი (- სავალდებულო); ვ) სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი - (სავალდებულო); ზ) სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისათვის - 5 კრედიტი - არჩევითი თ) კლინიკური კვლევის დიზაინი - 10 კრედიტი - არჩევითი ი) მეცნიერების მენეჯმენტი - 5 კრედიტი - არჩევითი ; კ) გლობალური ჯანდაცვა - 5 კრედიტი - არჩევითი

  დარგობრივი სემინარი გულისხმობს სამეცნიერო სტატიის შინაარსობრივ და

სტრუქტურულ ანალიზს. წარმოდგენილი უნდა იყოს პრეზენტაციის სახით ხელმძღვანელისა და დოქტორანტურის ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის წევრების წინაშე. სემინარზე ივსება შეფასების ოქმი კვლევითი კომპონენტებიდან სავალდებულოა 2 კვლევითი პროექტი (სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში) და სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა. 1-ლი კვლევითი პროექტი - მოიცავს მოიცავს სადისერტაციო თემის სათაურს, კვლევის ჰიპოთეზას, მიზანს, ამოცანებს, კვლევის დიზაინის მონახაზს, ეთიკური კომისიის დადებით დასკვნას და სავარაუდო შედეგებს; მე-2 კვლევითი პროექტი - რაც წარმოადგენს სადისერტაციო სამეცნიერო ნაშრომის შედეგების აპრობაციას.

დოქტორანტურის პროგრამის წარმატებით დასრულება გულისხმობს სადისერტაციო ნაშრომის დაცვას. დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება მედიცინის ფაკულტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული თუ ფაკულტეტის საბჭოს ადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას). სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობებია: შესრულებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება გამოსაქვეყნებელ პუბლიკაციათა მიმართ მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიური კრიტერიუმების გათვალისწინებით. კერძოდ: სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული უნდა იყოს სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად (Peer-reviewed) ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით. ამ სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული ისეთ საერთაშორისო ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში - დოქტორანტის პირველი ავტორობით, ამასთანავე, Scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალს Scimago Lab–ის (scimagosjr) მიერ მინიჭებული უნდა ჰქონდეს Q1 ან Q2 კატეგორია (Quartile); Web of Science-ის ბაზის ჟურნალში გამოქვეყნებული (ან გამოსაქვეყნებლად მიღებული) სტატიის შემთხვევაში, ჟურნალს უნდა ქონდეს მინიჭებული Clarivate Analitics-ის იმპაქტ-ფაქტორი.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ სასწავლო კურსების სილაბუსები
- დოქტორანტურის ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის დებულება;
- პროგრამის კვლევითი კომპონენტების ჩამონათვალი (აკადემიური პერსონალის და

| |
|---|
| დოქტორანტების გვარების ჩვენებით (დანართი N7) |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.3. სასწავლო კურსი** |
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. *სასწავლო პროგრამა დაფუძნებულია იმ მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლაზე, რაც აუცილებელია თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით სამეცნიერო-აკადემიური მოღვაწეობისათვის სხვადასხვა სფეროებში* კერძოდ:<br>სავალდებულო სასწავლო კურსის „აკადემიური წერა ბიომედიცინაში“ (5 კრედიტი) - წარმატებით გავლა ითვალისწინებს სამეცნიერო სტატიის, საგრანტო, სამეცნიერო |

მოხსენების პრეზენტაციისა და თეზისის დაწერის სწავლას;

სავალდებულო სასწავლო კურსის „პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების“ (5 კრედიტი) წარმატებით გავლა ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების ათვისებას და მეცადინეობის ჩატარების (ტუტორობის) უნარის განვითარებას;

სავალდებულო სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ (სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები) (5 კრედიტი) ითვალისწინებს უმაღლეს სკოლაში სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდების ათვისებას, ასევე ეხმარება დოქტორანტს სასწავლო აქტივობების ეფექტურ დაგეგმვა-განხორციელებაში, საკუთრი სასწავლო საქმიანობის გაანალიზებაში, შეფასებასა და გაუმჯობესებაში.

სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდოლოგია“ (5 კრედიტი) ითვალისწინებს გაცნობიერებული ცოდნის მიღებას ბიოსამედიცინო დარგის კვლევათა მეთოდოლოგიის თაობაზე და ხელს უწყობს საუკეთესო მეთოდების (მეთოდიკების) შერჩევას სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კვლევების განხორციელებისათვის.

არჩევითი სასწვალო კურსები „გლობალური ჯანდაცვა“ (5 კრედიტი), „სტატისტიკური დამუშავების საკითხები სოციალური და ბიოსამედიცინო კვლევებისთვის“ (5 კრედიტი), „კლინიკური კვლევის დიზაინი“ (10 კრედიტი) ხელს უწყობს ძირითადი კურსებით მიღებული ცოდნისა და კომპეტენციის გაზრდას და დეტალიზაციას, ასევე, მიღებული შედეგების რაოდენობრივი დამუშავების სტანდარტის ათვისებას.

- პროგრამის სასწავლო კომპონენტის ყველა კურსის (ჯამურად) სწავლის შედეგები ერთობლიობაში განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგებს.
- პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგის შეფასება ხდება სილაბუსებში წარმოდგენილი სქემის მიხედვით.
- სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის სრული ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია თსუ და მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკებით.
- სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას ხელს უწყობს სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:  სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;  კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;  კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სწავლის შედეგების მიღწევა საჭიროებს თანამედროვე ლიტერატურასთან შეუფერხებელ წვდომას. თსუ-ის ბიბლიოთეკა, რომელიც 2010 წლიდან არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი და ჩართულია საერთაშორისო

ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, სტუდენტებს სთავაზობს ნაბეჭდი და ელექტრონული რესურსების ფართო შესაძლებლობებს.

- *თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა), რომლებიც არის გაწერილი და ცნობილია სტუდენტებისათვის. სასწავლო კურსების ყველა სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამხმარე სასწავლო მასალა, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს, მეთოდურ რეკომენდაციებს, სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებს და სხვა. სასწავლო ლიტერატურა ძირითადად დაკომპლექტებულია დარგის მიღწევებზე დაფუძნებული წიგნებით და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკის ფონდი ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფორმით შეიცავს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.*

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ სასწავლო კურსების სილაბუსები
- დოქტორანტურის ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის დებულება
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, დოქტორანტთა პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებას და მათ მიერ კვლევითი პროექტების წარმატებით განხორციელებას. პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტად ჩართულია პროფესორის ასისტენტობა, რაც გულისხმობს: სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკული სამუშაოს/პრაქტიკული დავალების ჩატარებას ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; სალექციო კურსის წაკითხვას "საზავშვო უნივერსიტეტის" მსმენელებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებას; სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას; საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებას;თუ დოქტორანტი ამავდროულად არის თსუ-ის ასისტენტი/მასწავლებელი ან მოწვეული პერსონალი, უძღვება სალექციო/პრაქტიკულ/სემინარულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში.
- პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებას ემსახურება აგრეთვე ისეთი კურსები, როგორებიცაა „კვლევის მეთოდოლოგია“, „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“, ასევე „დარგობრივი სემინარები“ და პროგრამის კვლევითი კომპონენტის შემადგენელი კვლევითი პროექტები.სამეცნიერო უნარების განვითარება წარმოადგენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პროგრამა, გამომდინარე მისი სავალდებულოდა არჩევითი სასწავლო კურსების, ასევე სემინარების და კვლევითი პროექტების შინაარსიდან, ხელს უწყობს მეცნიერული კვლევის ყველა ძირითადი მდგენელის რეალიზაციისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებას.
- ამავე სამეცნიერო უნარების განვითარებას უწყობს ხელს ისეთი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო მხარდაჭერა როგორებიცაა:კონკურსის საფუძველზე სტუდენტური კვლევების დაფინანსებისათვის (გრანტული წესით) შექმნილ საუნივერსიტეტო ფონდი, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა, საერთაშორისო კონფერენციებზე (კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე) იმ დოქტორანტთა და მათ ხელმძღვანელთა მივლინება, რომლებიც გამოდიან ზეპირი ან/და პოსტერული მოხსენებით; მნიშვნელოვანია ასევე

მედიცინის ფაკულტეტზე დოქტორანტთა ნაშრომების პუბლიკაციის ხელშეწყობის მიზნით დაარსებულ ინგლისურენოვან on-line ჟურნალის „Translational and Clinical Medicine – Georgian Medical Journal"-ის ფუნქციონირება და მასში ნაშრომის გამოქვეყნება უფასოდ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა"
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის" სასწავლო კურსების სილაბუსები
- სტუდენტთა სამეცნიერო პროექტებში ჩართულობის დამადასტურებელი მონაცემები
- სტუდენტთა მონაწილეობით სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმების) ამსახველი ინფორმაციები
- ჟურნალი „Translational and Clinical Medicine – Georgian Medical Journal" www.tcm.tsu.ge 6. პროგრამის კურსდამთავრებულთა ნაშრომების ჩამონათვალი
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან, ასევე კვლევითი კომპონენტის თავისებურებიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ვერბალური მეთოდი, დემონსტრირება/პრეზენტაცია, დისკუსია/დებატი, შემთხვევის გარჩევა (ანალიზი) (Case study), ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები, ჯგუფური მუშაობა (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება) ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები და სხვ. სასწავლო კურსების სწავლებისას გამოყენებული მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას გამოყენებული მეთოდები - 1-ლ და მე-2 კვლევით პროექტებში. მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამა ხელს უწყობს მეცნიერული კვლევის ყველა ძირითადი მდგენელის („კვლევის საკითხის“ ან „კვლევის ჰიპოთეზის“ ჩამოყალიბება, „კვლევის დიზაინის შერჩევა“, „მასალის მოპოვება“, „შედეგების ანალიზი“, დასკვნის გამოტანა“, „ახალი ინფორმაციის გადაცემა (პრეზენტაცია, თეზისი, სტატია)“) რეალიზაციისათვის, ასევე სამომავლო წარმატებული პედაგოგიური საქმიანობის რეალიზაციისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებას. სწავების პროცესი შეესაბამება სწავლების საფეხურს, კომპონენტის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ დაცული დისერტაციების შეფასებების მაჩვენებელთა მონაცემები
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ შეფასება ადგენს სტუდენტის მომზადების (ცოდნის, უნარის) შესაბამისობის განსაზღვრას წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებთან. იგი უჩვენებს, თუ რამდენად განხორციელდა პროგრამის მიზნები და სტუდენტთა მომზადება რამდენად შეესაბამება პროგრამის დაგეგმილ შედეგებს. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის" სტუდენტის შეფასება ხდება თითოეული სასწავლო კურსის გავლისას, სემინარზე და დისერტაციის დაცვის დროს. სემინარის შეფასების „ფორმულა" მოცემულია მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში. სასწავლო კურსის გავლისას სტუდენტის ცოდნა ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესაბამისი შეფასების სისტემით. ეს შეფასების 100-ქულიანი სისტემაა, სადაც კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა გულისხმობს გრადაციას |

| |
|---|
| „ფრიადიდან“ - სრულიად „არადამაკმაყოფილებლამდე“. ამდენად, სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.<br>○ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილება და მუშაობის წესი განისაზღვრება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით. დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე. დისერტანტს ყავს ერთი, ან რამდენიმე ხელმძღვანელი, მათ შორის უცხოეთიდანაც, განსაკუთრებთ იმ დისერტაციების შემთხვევაში, რომელიც ფინანსდება გრანტით. ფაკულტეტის საბჭო სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის წარდგენით სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით გამოყოფს არანაკლებ ორ რეცენზენტს, რომელთაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. რეცენზენტი შესაძლოა შეიცვალოს დებულების შესაბამისად.<br>○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ სასწავლო კურსების სილაბუსები<br>• სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“<br>• პროგრამის კურსდამთავრებულთა მიერ დაცული დისერტაციების შეფასებების მაჩვენებელთა მონაცემები<br>• ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.<br>• თვითშეფასების ანგარიში.<br>• მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა | X | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის სტუდენტები თითოეული კურსის შესახებ იღებენ უწყვეტ მხარდაჭერასა და კონსულტაციას პროგრამის ხელმძღვანელის, მონაწილე აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის ადმინისტრაციის (აკადემიური პროცესის მართვის და სამეცნიერო და განვითარების სამსახურების) საინფორმაციო (მათ შორის, ბიბლიოთეკის) და ფინანსური სამსახურების მხრიდან. პროგრამაში ჩარიცხვისა და სწავლის, ასევე სასწავლო გარემოს შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტების ვებ-გვერდებზე.<br>სტუდენტს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სხვადასხვა კულტურული, სპორტული თუ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის, კარიერული განვითარების შესახებ, სტუდენტების ინფორმირებასა უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული დაწესებულების პერსონალი. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება მიიღონ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა მათი |

| |
|---|
| სურვილისამებრ. სადოქტორო პროგრამის შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც ხელს უწყობს როგორც სტუდენტს, ასევე მისი კვლევის და პროგრამის ხელმძღვანელებს - პროგრამის მიზნების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევაში - სწავლის-სწავლების ნებისმიერ ეტაპზე.<br>სხვა უმაღლესი დაწესებულებების მსგავს პროგრამებთან შედარებით, პროგრამა "კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა"-ის სტუდენტებს აქვთ ის უპირატესობა, რომ აქვთ თავისუფალი წვდომა კლინიკებთან/საკვლევ ბაზებთან და ადვილად შეუძლიათ საკვლევი მასალის შეგროვება, რაც ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია ბევრ სხვა უნივერსიტეტში და იწვევს დოქტურანტურაში სწავლის დროის გახანგრძლივებას. მიუხედავად ამისა, პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს პროცესში გაგვიზიარა, რომ თითქმის არ არსებობს დოქტორანტი, რომელიც ვადების დაცვით ასრულებს სწავლას. თუმცა, რამოდენიმე დოქტორანტი, რომელიც ამჟამად მუშაობს დისერტაციაზე, სავარაუდოდ მოახერხებს ვადაში დაცვას.<br>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა" კუსდამთავრებულთა 100% დასაქმებულია შესაბამის სფეროში. დამსაქმებელთა ინტერვიუს პროცესში აშკარა გახდა, რომ დამსაქმებლები პრიოტიტეტს ანიჭებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებს, სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით.<br><br>გაფორმებულია მრავალი ორმხრივი ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება სტუდენტური, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამები. 2007 წლიდან ორმხრივ ხელშეკრულებებს და ტემპუსის პროექტებს დაემატა ახალი შესაძლებლობები – Erasmus Mundus-ის პროგრამა, ხოლო უფრო მოგვიანებით Erasmus+. ამ პროგრამის დოქტორანტების მონაწილეობა გაცვლით პროექტებში ჯერ არ ფიქსირდება. ინტერვიუს დროს დაგვიდასტურეს, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები საქართველოსა თუ საზღვარგარეთ გამართულ კონფერენციებში და ესწრებიან უცხოელი პროფესორების საჯარო ლექციებს, თუმცა მოწოდებული დოკუმენტაციით რთულია განსაზღვრა თუ როგორია კონკრეტულად ამ პროგრამის სტუდენტების ჩართულობა აღნიშნულ აქტივობებში (დანართი 16).<br><br>ყურადღებას იპყრობს ფაქტი, რომ პროგრამის არსებობის განმავლობაში (2011 წლიდანდღემდე) დაცულია სულ 45 დისერტაცია, ასევე ძალიან მცირეა იმ სტუდენტების რაოდენობა, რომელთაც განსაზღვრულ ვადაში მოახერხეს დისერტაციის დაცვა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან საუბრისას შექმნილი სიტუაციის მთავარ მიზეზად საერთაშორისო იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში სტატიის დაბეჭდვის სირთულე დასახელდა. აქ საყურადღებოა დროის ფაქტორი (სტატიის დაბეჭდვას ხშირად რამდენიმე თვე სჭირდება) აკადემიური ინგლისურის ცოდნის დონე (სტუდენტებმა აღნიშნეს სტატიის რამდენჯერმე მობრუნების ფაქტი, ინგლისური ენის არასაკმარისად ფლობის გამო) და ფინანსური საკითხი (სტუდენტებს ეძლევათ უფასო ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვის რეკომენდაცია, რაც შესაძლოა დამატებით ბარიერს ქმნიდეს თუმცა, ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მოთხოვნათა შესაბამისად, ClarivateAnaltics-ის იმპაქტ ფაქტორის ან Scopus-ში ინდექსირებული Q1 ან Q2 რეიტინგის მქონე (Scimago.com-ის მიხედვით) ჟურნალებში ნაშრომთა გამოქვეყნების საფასურის დაფარვას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ინტერვიუს შედეგები; |

- პერსონალის სამუშაოთა აღწერილობები.
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი N18);
- ფაკულტეტის დებულება (დანართი N15);
- ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (დანართი N15);
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ (დანართი N1)
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი N1)
- პროგრამის შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიის დებულება (დანართი N15)

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- შიდა დაფინანსების წყაროების მოძიება,
- აკადემიური ინგლისურის სწავლების გაძლიერება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია დარგის გამორჩეული, მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი.<br>უნივერსიტეტი დოქტორანტებს :<br>• ეხმარება ხელმძღვანელის შერჩევასა და კვლევის ორგანიზებაში;<br>• სთავაზობს კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო მეთოდოლოგიურ და თეორიულ ცოდნას;<br>• უქმნის სათანადო გარემოს სამუშაოს ეფექტური შესრულებისათვის, კერძოდ, დოქტორანტს აქვს სამუშაო სივრცე, წვდომა ლაბორატორიებსა და კვლევით ცენტრებზე, ისევე როგორც კომპიუტერულ ტექნიკაზე, ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე;<br><br>დოქტორანტთა მიერ (ხელმძღვანელებთან თანაავტორობით) 2018 წლამდე გამოქვეყნებული ნაშრომებიდან 136 გამოქვეყნებულია Scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალებში, 134 - PubMed-ში ინდექსირებულ ჟურნალებში, 62 კი - WoS-ში ინდექსირებულ ჟურნალებში. იმავე 2018 წლამდე Scopus-ის მიერ აღნიშნულია ზემოაღნიშნულ ნაშრომთა 164 ციტირება, ხოლო WoS -ის მიერ 107 ციტირება.<br>დოქტორანტების ხელმძღვანელები არიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, თსუ-ის დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლები და მოწვეული პროფესურა.<br>ინტერვიუს დროს ადმინისტრაციამ, დისერტაციის ხელმძღვანელებმა და სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის შეხვედრები რეგულარული და ფაქტიურად უწყვეტია, ვინაიდან ხელმძღვანელი და სტუდენტი ხშირად ერთად მუშაობენ. თუმცა, რეგულარული კონსულტაციების ვალდებულებასთან დაკავშირებით ჩანაწერი წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ფიქსირდება (დანართი 4 - დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები).<br><br>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა “კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ორიენტირებულია დოქტორანტებში იმ აუცილებელი უნარ–ჩვევების გამომუშავებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებული კარიერისათვის. დოქტორანტებს საშუალება აქვთ ერთმანეთს გაუზიარონ სამომავლოსამეცნიერო ინტერესები და ჩაერთონ მათთვის ახალ და მომიჯნავე დარგების კვლევებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასები ანგარიში<br>○ ინტერვიუს შედეგები<br>○ ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (დანართი N15)<br>○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა (დანართი N1)<br>○ სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება (დანართი N15)<br>○ პროგრამის განმახორციელებელთა (მათ შორის დოქტორანტების ხელმძღვანელთა პერსონალური მონაცემები - CV -ები (დანართი N3)<br>○ სადოქტორო ნაშრომები (თსუ ვებ-გვერდზე განლაგებული დაცული დისერტაციების ნიმუშები): http://press.tsu.ge/ge/net_editions/xj-niq8km-r9euks3/medicina/ |

| რეკომენდაციები: |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):** |
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება** |
| o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| <ul><li>პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;</li><li>პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;</li><li>პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;</li><li>პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.</li></ul> |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სადოქტორო პროგრამაში ჩართულია სულ 46 პერსონალი, აქედან 23 პროფესორი (აქედან 22 აფილირებული) , 15 ასოცირებული პროფესორი (15ვე აფილირებული), 6 -თსუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი და 3 მოწვეული პერსონალი. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.<br>აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით - 37/215,-აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით -45/215 .<br>ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა 43/215 . ერთ ხელმძღვანელს დასაშვებია ყავდეს 7 დოქტორანტი, რაც დოქტორანტების დიდი რაოდენობაა, თუმცა აიხსნა ფაქტით, რომ ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტების თემები მსგავსია და ხელმძღვანელი ჯგუფურად მუშაობს მათთან.<br><br>სადოქტორო პროგრამის კვლევითი თემის შერჩევა და შესაბამისი მიღების გამოცხადება ხორციელება თსუ აკადემიური პერსონალის ან თსუ-ის დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლების მიერ.<br>საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრებიდან იწვევს სპეციალისტებს, როგორც სადისერტაციო თემის ხელმძღვანელებს, ამასთანავე, უპირატესობა ენიჭება თანახელმძღვანელად თსუ-ის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელის შერჩევას.<br><br>ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს სწავლების მნიშვნელოვანი გამოცდილება და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელთაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.<br>აკადემიური პერსონალის კომპეტენტურობა ასევე ცხადყო, მათთან ექსპერტთა ჯგუფის |

| |
|---|
| შეხვედრამ. პროფესორებს აქვთ საერთაშორისო სამეცნიერო რეპუტაცია და ფართო საერთაშორისო კოლაბორაციული ქსელი.აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება უზრუნველყოფს დარგში თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების გამოყენებას დოქტორანტების ეფექტური ხელმძღვანელობისთვის.<br>აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით მათ შორის მაღალი იმფაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში.<br>კურსდამთავრებულების მიერ დაცული სადისერტაციო ნაშრომები წარმოადგენს ორიგინალურ ნაშრომს.<br>აკადემიურ პერსონალში უნივერსიტეტებში მოაზრებულია ყველა სახის პროფესორი და ლექტორები, რომლებიც არიან დასაქმებული უნივერსიტეტში სრული დატვირთვით. ხოლო, სამეცნიერო პერსონალში ყველა უნივერსიტეტის თანამშრომელი (აკადემიური, არააკადემიური, და მოწვეული), ვინც ჩართულია სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.<br>საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვას.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული ყველა ფუნქციის ჯეროვან შესრულებას.<br><br>სადოქტორო პროგრამაში ჩართულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს დოქტორანტების აქტიურ ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში.<br><br>პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, სასწავლო და სამეცნიერო პროცესში.<br>ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია და კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში.<br>○ ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (დანართი N15)<br>○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ (დანართი N1)<br>○ სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება (დანართი N15)<br>○ პროგრამის განმახორციელებელთა (მათ შორის დოქტორანტების ხელმძღვანელთა პერსონალური მონაცემები - CV -ები (დანართი N3)<br>○ ფაკულტეტის ბიუჯეტი და მისი მიზანმიმართული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი N14) |
| **რეკომენდაციები:** |

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ერთ ხელმძღვანელთან დოქტორანტების დასაშვები რაოდენობის შემცირება / დოქტორანტების ხელმძღვანელების რაოდენობის გაზრდა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- ○

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით მონაწილეობს ერაზმუსის პროგრამასა და ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში. პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების პარალელურ რეჟიმში ისინი ახორციელებენ საჯარო ლექციების ჩატარებას და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელებას მსოფლიოს მაღალრეიტინგული უნივერსიტეტების კოლეგებთან ერთად.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის განვითარებას, რაც აისახება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებით. პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს გაცვლით,

| |
|---|
| საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში, კონფერენციებში, რაც ასახულია მათ მიერ წარმოდგენილ პერსონალურ მონაცემებში (cv).<br>თსუ მედიცინის ფაკულტეტი რეგულარულად ატარებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებას. სასწავლო საქმიანობა ფასდება სასწავლო კურსისა და ლექტორების შეფასების მიზნით სემესტრულად ჩატარებული სტუდენტების გამოკითხვით. ანგარიშები ეგზავნება მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. ანგარიშის ელექტრონული ვერსიები ინახება მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში და განთავსებულია თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ვებ გვერდზე. მედიცინის ფაკულტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესეულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ხშირად ტარდება ტრენინგები სწავლების სხვადასხვა მეთოდების ათვისების მიზნით, ბიბლიოთეკა მარაგდება უახლესი ლიტერატურით (თუ სილაბუსში მითითებული წიგნი ბიბლიოთეკაში არ მოიძებნება, ამ ლიტერატურის მითითება სილაბუსში შეუძლებელია), ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები და პერსონალი ესწრება საერთაშორისო კონდერენციებს სადაც ხშირად აქვთ ზეპირი თუ პოსტერ-პრეზენტაციები.<br>უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინგლისურენოვანი on-line ჟურნალი „Translational and Clinical Medicine – Georgian Medical Journal", სადაც ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ინტერვიუების შედეგები;<br>○ სტატისტიკური მაჩვენებლები პერსონალის შესახებ;<br>○ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;<br>○ პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებლები.<br>○ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბერის #122 დადგენილება (დანართი N18) მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევებსა და ბიბლიოთეკის ფონდის განვითარებაზე გათვალისწინებული დაფინანსება (დანართი N14)<br>○ თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/research/balances/;<br>○ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 მარტის 29/2017 დადგენილება; (დანართი N18)<br>○ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** |
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია მაღალი დონის, თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა. შენობები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომელიც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის.<br>უნივერსიტეტებს გააჩნია მაღალტექნოლოგიური ხელსაწყო - დანადგარები. სილაბუსებში მითითებული ყველა სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგები.<br><br>თსუ-ის ბიბლიოთეკა 2010 წლიდან არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი და ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ელექტრონული ვერსიებით, ასევე ელექტრონული რესურსებით ამასთანავე, როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე სტუდენტებს უნივერსიტეტის ელ. ფოსტით საშუალება აქვთ ფასიან ელექტრონულ ბაზებთან მოახდინონ წვდომა უნივერსიტეტის მიღმა. ამ ბაზებში მუშაობის ტრეინინგს ატარებს პერმანენტულად ატარებს თსუ ბიბლიოთეკა - როგორც ადგილებზე, ისე webinar-ის გამოცხადებით.<br><br>ბიბლიოთეკაში შექმნილია სწავლისათვის შესაფერისი გარემო და აღჭურვილია თანამედროვე ლიტერატურით, დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისათვის |

| |
|---|
| ადეკვატური გარემოს შესაქმნელად მოწყობილია თანამედროვე სალექციო ოთახები, ლაბორატორიები, გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები და ხელმისაწვდომია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ არსებული ინფრასტრუქტურა;<br>○ საბიბლოთეკო მატერიალური და ტექნიკურ რესურსი;<br>○ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომა;<br>○ სტუდენტთა გამოკითხის შედეგები;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |

| |
|---|
| პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებს კვლევითი მიმართულებით.<br>ფაკულტეტის ბიუჯეტი 2015 წლიდან 2019 წლამდე გაიზარდა 2574240-დან 3284320-მდე, ანუ 710080 ლარით. ეს გაზრდა შეეხო სამეცნიერო მივლინების ხარჯებს, აკადემიური პერსონალის სახელფასო ფონდს (პარალელურად, მოხდა ხელშეკრულებით აყვანილი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შემცირება).<br>სადოქტორო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ (ზოგადად) და მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტები, რომელიც აფინანსებს:<br>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებას (კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილია უდიტორიები, დოქტორანტთა შეკრების, პროგრამით გათვალისწინებული სემინარებისა და კვლევითი პროექტების „წარდგენის" ოთახები, ლაბორატორიული ტექნიკის შეძენა და ინსტალაცია, ვივარიუმის რემონტი).<br>ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პერმანენტულ შევსებას პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით;<br>სტუდენტური (მათ შორის, დოქტორანტთა) კვლევების კონკურსის საფუძველზე (გრანტული წესით) დაფინანსებისათვის შექმნილ საუნივერსიტეტო ფონდს;<br>სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობას;<br>საერთაშორისო კონფერენციებზე (კონგრსებზე, სიმპოზიუმებზე) იმ დოქტორანტთა და მათ ხელმძღვანელთა მივლინებას, რომლებიც გამოდიან ზეპირი ან/და პოსტერული მოხსენებით;<br>თსუ მედიცინის ფაკულტეტზე დოქტორანტთა ნაშრომების პუბლიკაციის ხელშეწყობის მიზნით და არსებულ ინგლისურენოვან on-line ჟურნალის „TranslationalandClinicalMedicine – GeorgianMedicalJournal"-ისფუნქციონირებას (ჟურნალი ინდექსირებულია Google Scholar-ში; მასში ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა);<br>ClarivateAnaltics-ის იმპაქტ ფაქტორის ან Scopus-ში ინდექსირებული Q1 ან Q2 რეიტინგის მქონე (Scimago.com-ის მიხედვით) ჟურნალებში ნაშრომთა გამოქვეყნების საფასურის დაფარვას (აღნიშნულ ჟურნალებში ნაშრომის გამოქვეყნება წარმოადგენს აუცილებელ პირობას დისერტაციის დაცვისათვის).<br>თსუ და მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტები აფინანსებს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებას (კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილი აუდიტორიები, დოქტორანტთა შეკრების, პროგრამით გათვალისწინებული სემინარებისა და კვლევითი პროექტების „წარდგენის" ოთახები, ლაბორატორიული ტექნიკის შეძენა და ინსტალაცია, ვივარიუმის რემონტი). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;<br>○ უნივერსიტეტის ბიუჯეტი;<br>○ ინტერვიუების შედეგები. |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა | X | | | |

## 5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| |
|---|
| **5.1 შიდა ხარისხის შეფასება** |
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩართულია უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და ძირითადი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულები. სტრატეგიული განვითარების გეგმით, ხარისხის შიდა შეფასების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების, საგანამანათლებლო პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულების და შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტების სრულყოფა და მართვის პროცესში მათი სათანადოდ იმპლემენტაციის მეთოდების შემუშავება/დახვეწა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სრულადაა ჩართული უნივერსიტეტში განხორციელებული სადოქტორო კვლევის და სადისერტაციო ნაშრომების (ანუ, სადოქტორო პროგრამების კვლევითი კომპონენტის), შეფასების კრიტერიუმების და ინდიკატორების შემუშავებაში.<br>ყველა ახალი ან განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება ამ კრიტერიუმებით და პროგრამის განხილვის მსვლელობაც დამოკიდებულია ამ შეფასების შედეგებზე. თუ შეფასება უარყოფითია, მასალა ავტორს უბრუნდება გადასამუშავებლად და ეძლევა შესაბამისი რეკომენდაციები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს შეფასების პროცესში ჩართოს შესაბამისი დარგობრივი პროფესიის წარმომადგენლები, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე გარე რესურსების გამოყენებით.<br>სტუდენტთა შეფასების შედეგები და მათ საფუძველზე სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის დეპარტამენტებს, საფუძვლად ედება კურიკულუმის და სასწავლო გეგმის განვითარებას, ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ცვლილებებს.<br>მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობენ როგორც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, ისე სხვა დაინტერესებული მხარეები, კერძოდ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. თსუ-ში გარკვეული პერიოდულობით მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა (მათ შორის შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან) და მათი კმაყოფილების კვლევა თსუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობით, სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდებით და სხვ. პერიოდულად მიმდინარეობს კითხვარების განახლება. გამოკითხვის პროცესში ფაკულტეტი იყენებს როგორც საუნივერსიტეტო დონეზე რეკომენდირებულ კითხვარებს, ისე დამატებით კითხვარებს, რაც უკავშირდება მედიცინის დარგის სპეციფიკას. |

| |
|---|
| ყოველწლიურად მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება.<br>მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის სამსახური (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად) ორგანიზებას უწევს ტრენინგებსა და სემინარებს და თავადაც იღებს ასქტიურ მონაწილეობას პროფილურ ტრენინგებსა და სემინარებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>1, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება<br>https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/1132017_d1.pdf<br>2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულება (თავი V. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური).<br>https://www.tsu.ge/data/file_db/medicine/New%20Debuleba.pdf<br>3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილებით)<br>https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/1002019_d1.pdf<br>4. მედიცინის ფაკულტეტის კითხვარები (დანართი N 17)<br>5. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №46/2018 დადგენილებით) (დანართი N 2).<br>6. ღონისძიებების და პერსონალის საგანმანათლებლო თემატიკაზე ორგანიზებულ კურსებში, ტრენინგებში, სემინარებში და ვორკშოპებში მონაწილეობების აღწერა (დანართი N 16). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ ხარისხის მართვის სამსახურის მუშაობაში სასურველი იქნება გაძლიერდეს ის მექანიზმები და რესურსები, რომელიც უცხოელი კოლეგების ჩართვის შესაძლებლობას შექმნის განმავითარებელი კოლეგიალური, ან peer review-რების პროცესში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით ეფექტურად გამოიყენება გარე შეფასების შედეგები.

პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის მიზნით განხორციელდა 2011 წელს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 16 სექტემბრის №3 სხდომის №96 გადაწყვეტილებით კლინიკური და ტრანსლიაციური მედიცინის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. მომდევნო პერიოდში ყოველწლიურად ხორციელდებოდა თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საავკრედიტაციოდამჟამადწარმოდგენილიგანახლებულისადოქტოროსაგანმანათლებლოპროგრამისგარეშეფასებაგანხორციელდა2018 წელს, პროფესორზურაბკაკაბაძისმიერ (დანართი N 17).

შეფასების შედეგები გამოყენებული იქნა პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

თსუ-ის სადოქტორო პროგრამისთვის „ტრანსლაციური მედიცინა" საყურადღებო იყო შემდეგი რეკომენდაციები:

ა) რჩევები სამეცნიერო დამოუკიდებლობისა და კეთილსინდისიერების შესახებ და პლაგიატის პრევენციის თაობაზე.

ბ) რეკომენდაციები ელექტიური სასწავლო კურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ;

დ) რჩევები დოქტორანტების აზრის შესწავლისა და გათვალისწინების თაობაზე პროგრამის გასაუმჯობესებლად;

გ) რჩევა დოქტორანტების ჩართულობაზე სასწავლო პროგრამის შემუშავება-განახლების პროცესში;

დ) სადოქტორო პროგრამებზე გამოცხადებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე;

ე) რჩევები ბიბლიოთეკის სერვისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თაობაზე.

სადოქტორო პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისწინებული იყო ყველა ზემოხსენებული რეკომენდაცია. დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი:

1. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში ჩართულია საკითხები პლაგიატისა და მკვლევარის არაკეთილსინდისიერი ქცევის სხვა ფორმების შესახებ, პლაგიატის თავიდან აცილების გზების თაობაზე.
2. ჩატარდა როგორც ახლანდელი დოქტორანტების, ისე სადოქტორო პროგრამის „მედიცინა" კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და ამ გამოკითხვის შედეგები გამოყენებულია პროგრამის განახლების პროცესში.
3. სასწავლო პროცესში ჩართულია დისტანციური სწავლების ელექტრონული კურსი.
4. გაუმჯობესდა ბიბლიოთეკის სერვისები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>გარე შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლებისხარისხ ისგანვითარებისშ ესაძლებლობები | X | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა"

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41 გვ.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლოპროგრამის მიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპ როგრამისშესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლებისმეთოდოლოგიადაო რგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასები სადეკვატურობა | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა | X | | | |
| 4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები | X | | | |

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>



სახელი, გვარი, ხელმოწერა მ.თოიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ გოდერიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა მარიამ აბულაძეv



სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა